შაბათი, 5 ივნისი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 შაბათი, 5 ივნისი, 1904 წ.

**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. | — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, | 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, | 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, | — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, | 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, | 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, | — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, | 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, | 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, | 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, | 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, | 50 ,, |

# ივერია

№ 130 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 130

**წლიური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს—3 მ, თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

## რედაქციისაგან

**პირველ თიბათვიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“ ჰღირს 6 მან. 50 კაპ.**

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს ქალაქში 3 მან. და ქალაქ გარედ 4 მან.

ვისაც გაზეთის ფული სრულად არა აქვთ შემოტანილი, რედაქცია სთხოვს წარმოადგინოს დანარჩენიც რომ გაზეთის გზავნა არ მოესპოს.

გამოვიდა და ისყიდება დიდი სურათი

## ჯგუფი ქართველთ მწერლებისა

(მესამე გამოცემა).

**ტარ. მომცელიძისა.**

ფასი თითო სურათისა 75 კაპ. ქალაქ გარეთ გაგზავნას ფას დადებითაც ვკისრულობთ, მხოლოდ არა ნაკლებ ხუთის ცალისას.

ადრესი: въ Тифлисъ, Эриванск. пл., д. Харазовой, Тарасію Момцеидзе. (წლ.).

საუკეთესო სააგარაკო ადგილები

## ზედ სურამის მახლობლად

მაღლობს და ტყით შემოსილ მთებ შორის, სხვა და სხვა ზომისა,

## ისყიდება

იაფად და ხელ-მისაწვდომ ფასად.

იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—3)

## ახალი წიგნი

ს. ს. მელიქ-ადამოვი

ნაფიცი ვექილი

## პრაქტიკული სახელმძღვანელო

სამოქალაქო სამართლის საქმეთა წარმოების ქაღალდების შესადგენად ამიერ-კავკასიაში,

**ПРАКТИЧЕСКОЕ РУКОВОДСТВО для составленія бумагъ по дѣламъ Гражданскаго Судопроизводства въ ЗАКАВКАЗСКОМЪ КРАѢ.**

**ფასი 1 მან.**

ისყიდება ტფილისში: წიგნების ცენტრალურ სავაჭროში და ხიდიკელის და გუტენბერგის მაღაზებში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს 10 ეგზემპლიარზედ მეტს 10 % დაეთმობათ და გასაგზავნ ფასსაც არ გადაიხდიან.

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

## ლალაში

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,

ავტორის სურათით და წინასიტყვაობით.

თარგმანი გრ. ყიფშიძისა.

გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ას ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი ეეთმობა 7 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლს მალით აკრძალულია.**

## ისყიდება

პრიუტთან ახლოს მამული: სახნავი, საძოვარი, სათიბი და ტყე საუკეთესო წყაროებით. წლიური შემოსავალი აქვს 400 მან., აგრეთვე მსურს გავყიდო სოფელს ტყვიავში (გორის მაზრა) ექვსი დესეტინა: ახლად გაშენებული ბაღი, სახლკარი და სახნავი მამულები. მსურველს შეუძლიან ცნობების შეტყობა ქ. ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ სათავად-აზნაურო სახლი **გრიგოლ კორინთელთან.** (5—4).

ვიღებ საეკლესიო **პანკელების სამხატვრო საქმეზს.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ შემდეგის ადრესით: სოფელი პრიუტი, ტფილისის მაზრა, მღვდელს მელიტონ ყანჩაველს. (7—5)

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში გ-ნ დავ. ნახუცრიშვლის (3—3)

**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი** სთხოვს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ მობრძანდნენ

საგანგებო საგუბერნიო კრებაზედ,

რომელიც დანიშნულია 12 ივნისისათვის 1904 წლ. დღისით 1 საათზედ თ-დ ქობულოვის სახლებში (არშაკუნიანისეული, გრიბოედოვის ქუჩაზედ) ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მოგების გასანაწილებლად შედგენილ პროექტის განსახილველად და დასამტკიცებლად. (3—6—3).

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 16? გვ. ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთ შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

## ქაჯანა

2.

## ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распрстр. грамотности.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. ი. ბალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ, ხუთშ. შაბათ.

**გრ. ვ. სოგოლევსკი** — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ეორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზალიშვილისა,** ელისაბედის ქუჩა, № 41.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია)

**გ. ს.ე ლვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2—8$ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

სამხედრო პროფესორის აზრი.—რუსისა და იაპონელ სალდათის შედარება. — ინგლისელების სურვილი.—წვრილი ცნობები.

«დეილი ნიუსის» წარმომადგენელს უბაასნია ცნობილ სამხედრო ხელოვნების სწავლულ დოქტორ მილლერ-მაგიურთან, რომელსაც, სხვათა შორის, უთქვამს.

რუსეთის მხრივ შეცდომა იქმნება, თუ პორტ-არტურის დახსნას მოანდომა თვისი ძალა, საზოგადოების განკიცხვას მოერიდა და თავისი ჯარი უკან არ დასწია. ციხის შესახებ სიმართლეს მოკლებული აზრი არის გავრცელებული საზოგადოებაში და ამ აზრმა არა ერთი ძლიერი ლაშქარი შეიწირა. როგორც ფლოტს ზღვის სივრცეზე უფრო მცირე განსაცდელი მოელის, ისე ვაკე მინდორში ხმელეთის ჯარს მტრისა არ უნდა ეშინოდეს. ციხე კი, შესაძლოა, ძლიერს ჯარსაც სამარედ გარდაექცეს, თუ რომ სქელსა და მაღალ გალავანს დაამყარა იმედი. თუ რუსეთის ჯარი პორტ-არტურის დასახსნელად წავიდა, ისეთივე შეცდომა მოუვა, როგორც 1870 წელს პალიკაოს, რომელმაც უბრძანა მაკ-მაგონს, ალყა-შემორტყმულ მეცის დასახსნელად წასულიყო. მაკ-მაგონი დაემორჩილა, თავისი ლაშქარი დალუპა, ციხეს-კი ვერა უშველა რა, თუმცა მეცს ათჯერ მეტი მნიშვნელობა ჰქონდა საფრანგეთისათვის, ვიდრე პორტ-არტურს რუსეთისათვის. 23 აგვისტოს მაკ-მაგონი წავიდა თავის ლაშქრით, რომელშიაც 144,000 ჯარის კაცი იყო და 400 ზარბაზანი, და 9 დღეს შემდეგ მთელ თავის ლაშქრით ტყვედ მოჰყვა.

— მაშ თქვენ ჰფიქრობთ, რომ კუროპატკინმა უკან უნდა დაიწიოს?

— უეჭველად. იმისთანა მტერზედ გალაშქრება, რომელსაც მეტი ჯარიცა ჰყავს და ვიწრო, მიუდგომელი სიმაგრეც უჭიოავს, უგუნურება იქმნებოდა. ციხე-სიმაგრის დაცვა თვით მეციხოვნეებს რომ მიანდოს, ხშირად უმჯობესია მთავარსარდლისათვის. მაკ-მაგონს მეცი მეციხოვნეთა ანაბარად რომ დაეტოვებინა, გერმანელები პარიჟს ველარ აიღებდნენ ისე მალე და მეტი მსხვერპლიც დასჭირდებოდათ. უმთავრესი შეცდომა ოსმან-ფაშისა 1877 წელს ის იყო, რომ პლევნაში დიდხანს გაჩერდა, სერასკირის ბრძანებისამებრ. ნაპოლეონმა გენუა მიატოვა, რომელსაც მესსინა მოხერხებულად იცავდა, ჯერ ავსტრიელები დაამარცხა მინდორში და მერე გენუაც დაიმორჩილა. არაოდეს ხმელეთის ჯარი მინდორიდგან ციხეში არ უნდა შეიყვანო და ამოჰკეტო.

— თქვენ რას ურჩევდით კუროპატკინს?

— თუ რომ ნაბრძანები აქვს, წინ წადიო, აღარა დარჩენია-რა, გარდა იმისა, რომ დამორჩილდეს, როგორც, მოლტკეს სიტყვით, მაკ-მაგონსაც მეტი ჩარა არა ჰქონდა და დამორჩილდა. ნაპოლეონი ამბობდა: «ერთი საშუალო ღირსების გენერალი სჯობია ორს საუკეთესოს». კუროპატკინი ვერ იხსნის პორტ-არტურს, თუ რომ ვაკეზე არ დაამარცხა იაპონე-

ლების ლაშქარი. გამბეტტას 600,000 ჯარის კაცი ჰყავდა, პარიჟი-კი ვერ იხსნა. იმას რომ გერმანელები დაემარცხებინა ერთს ცხარე ომში, ისინი იძულებულნი გახდებოდნენ, პირი ებრუნათ და შინ წასულიყვნენ.

თუ კუროპატკინს იმდონი ძალა არა აქვს, რომ მტერი შემუსროს, წინ წასვლა სიკვდილი იქმნება. 1796 წელს ერცჰერცოგი კარლოსი ამბობდა: «რაც უფრო წინ წავლენ ფრანგები ვენისაკენ, მით უფრო მეტად მასიამოვნებენ». ამავე აზრისა იყო ალექსანდრე I 1812 წელს, როცა ნაპოლეონი მოსკოვზე მიდიოდა... კუროპატკინი ფაბი კუნკტატორის ტაქტიკას უნდა დაადგეს—ომს ერიდებოდეს და უკან-უკან იწევდეს, თუ ეს საჭიროა.

— მაშ, თქვენის აზრით, მანჯურია მტერს უნდა დაუთმოს?

— უკან დაწევის დროს მთელს ქვეყანას უდაბნოდ გადააქცევს. იმისი უკანა ჯარი გაუთამაშ-გამოუთამაშებს იაპონელებს, როგორც ნეი ეძიძგილავებოდა ველინგტონს. ის ყოველსავე ცეცხლით შემუსრავს გზა-და-გზა, როგორც მოიქცნენ ფრანგები ისპანიაში და რუსები 1812 წელს. რუსებმა თავისი სატახტო ქალაქიც-კი არ დაზოგეს. კუროპატკინმა რომ უკან დაიწიოს და ზურგს უკან ყველაფერი გადასწვას, იაპონელები შორს აღარ გამოედევნებიან. ისინი მანჯურიას დაიჭერენ, ხოლო მუდამ შიში ექმნებათ ძლიერის მტრის თავსდასხმისა. წამოვიდნენ წინ, სადამდინაც ჰსურთ, ვიდრე რუსეთი ძალ-ღონეს მოიკრებს... განა რუსეთი დაუთმობს რასმე? დამარცხებულად რად ჩასთვლიან რუსები თავის თავს, როდესაც საიმისო არა დაუკარგავთრა. არა, იაპონია მანჯურიაში ვერ იბოგინებს, რუსეთი კი კვალად შეაღებს კარებს.

ცნობილი ამერიკელთა აფიცერი პოლკოვნიკი ვაგნერი, რომელმაც კანადაში შესევის გეგმა შეადგინა, ამბობდა: ორი უმთავრესი პირობა სტრატეგიისა თხოულობს, რომ სალდათს, როგორც საერთოდ ყველა კაცს, სასმელ-საჭმელი, ტანთსაცმელი და წამლობა უნდა; ამასთანავე თოფ-იარაღი და წამალიც უნდა ჰქონდეს. ერთი ჭეშმარიტებაც: ორი და სამი კაცი, ერთსა და იმავე ვითარებაში დაყენებული, მარტოხელა კაცს ყოველთვის აჯობებს. რაც უფრო ზედ-მიწევნითა ვსწავლობთ სტრატეგიას, ვრწმუნდებით, რომ გამარჯვება მთლად ამ გარემოებაზეა დამყარებული.

თუ რომ კუროპატკინმა ეს საანბანო ჭეშმარიტება არ იცის და წინ გაილაშქრებს, როდესაც საკმაო ძალა არა აქვს მტრის დასამარცხებლად, მაშინ თავის ლაშქარსაც განსაცდელში ჩააგდებს და რუსეთის ძალასაც სრულიად შეარყევს შორეულ-აღმოსავლეთში. ლაშქრის დაღუპვას ათჯერ უარესი შედეგი ექნება, ვიდრე პორტ-არტურის დაკარგვას, და ამისთანა უბედურების შემდეგ რუსეთს ათკეცად გაუძნელდება თავის თავის მაღლა წამოწევა («ნ. ვ.»).

—

«ნაციონ. რევ»-ის თანამშრომელი ვას. ჩაიროლი რუსისა და იაპონიის ჯარის კაცს ერთმანეთს უდარებს და ამბობს: რუსი უფრო ახოვანია და ღონიერი, ხოლო ისე მტკიცე და ამტანი არ არის, როგორც მარდი და გამბედავი იაპონელი. ბუნებრივი მოსაზრება და ჭკუა-მახვილობა ეხლანდელ ტაქტიკას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია ჯარის-კაცისათვის. ამ მხრივ იაპონელი ჯარის კაცი უფრო მაღლა სდგას რუსისაზე. რაც აფიცრებს შეეხება, მაღალ ხარისხის აფიცრებს გარდა, სამხედრო მეცნიერება იაპონელებს უფრო კარგადა აქვთ შესწავლილი. რაზმთა წყობა და იარაღიც იაპონელებისა სჯობია. როგორც ყოველ ხელოვნებაში, ისე სამხედრო საქმეებშიც იაპონელი უმეტნაკლებოდ ამთავრებს თავის შრომას და არც ერთს წვრილმანს რასმე არ გამოაკლებს. ეს უმთავრესი თვისებაა იაპონელის ხასიათისა. ამიტომაც იაპონელები თავის განზრახულებასა და გეგმას ომის ველზე უმეტნაკლებოდ განახორციელებენ.

ბოლოს იგივე მწერალი ამბობს, მანჯურიელები უფრო იაპონელებს თანაუგრძნობენ, ვიდრე რუსეთს. იმათ არ ავიწყდებათ, რომ რუსებმა მანჯურიელები გამორეკეს ბლაგოვეშჩენსკიდგან და 1900 წელს რავდენიმე ათასი მანჯურელი და ჩინელი ჩაახრჩეს მდინარე ამურში. ამას არაოდეს არ აპატიებენ რუსებს და სწორედ ამ გარემოებით ისარგებლებენ ეხლა იაპონელები (პ. ვ.).

დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ლონდონში ერთის ინგლისელ დიპლომატის სიტყვამ:

ინგლისის ინტერესები მოითხოვს, რომ რუსეთი არც ძალიან დამარცხდეს და არც თუ მეტად გამარჯვებული გამოვიდესო. უმჯობესი იქნება, რომ დიდის ხნისა და მედგარის ბრძოლის შემდეგ იძულებული შეიქმნას გაურკვეველი ზავი დაუდოს იაპონიასაო. ინგლისის ინტერესები მოითხოვს, რომ მანჯურია და პორტ-არტური ომის შემდეგ რუსეთსავე დარჩეს და მუდამ ეშინოდეს თავის სამფლობელოების დაკარგვისა. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც შორეულ აღმოსავლეთი მიიჯაჭვავს რუსეთის დიპლომატების ყურადღებას და რუსეთის ხმელეთის ჯარს დააბანდებს, როდესაც იაპონია კორეაში გამაგრდება და მანჯურიის საზღვარს დარაჯად დაუდგება,—მხოლოდ მაშინ დაიმშვიდებს გულს ინგლისი ინდოეთის შესახებ და თავის პოლიტიკურ განზრახვის განხორციელებას განაგრძობს. რუსეთის მორჭმულობა და გამარჯვება შორეულ აღმოსავლეთში, არამც თუ სარგებლობას არ მოუტანს ინგლისს, არამედ დიდადაც ავნებს.. მეორეს მხრივ, რუსეთის დამკვიდრება მანჯურიაში იაპონიის გაფართოვების ნებას არ მისცემს.

თუმცა საკავშირო ხელშეკრულობას ინგლისელები პატიოსნურად აღასრულებენ, მაგრამ მისის ინტერესების წინააღმდეგია, იაპონიამ რომ განზე გაიწიოს და ხმელეთზედ გამაგრდეს. კავშირი იმდენად არის ხელსაყრელი ინგლისისათვის, რამდენადაც იაპონია ეცდება კორეა განათლების გზაზედ დააყენოს, და არა მეტად. ამიტომ იაპონიის გამარჯვება ინგლისელებს არ უნდა ახარებდეს. იაპონიამ რომ გაიმარჯვოს, ზავის პირობაში ისეთს მუხლებს ჩაურთავს, რომელიც მისს გაძლიერებას ხელს შეუწყობს. ინგლისისათვის მხოლოდ ისეთი პირობაა სასარგებლო, რომლითაც რუსეთი და იაპონია მანჯურიასა და კორეას გაინაწილებენ. («ნ. ვ.»).

—

მანჯურიის ლაშქრის მთავარ-სარდალმა ბრძანება გასცა, ჯარის-კაცები ზრდილობიანად ექცეოდნენ დატყვევებულ იაპონელებს, მკვდრები პატივის-ცემით დამარხონ და დაჭრილთ ისე გულმოდგინით უწამლონ, როგორც რუსებს (რ. ვ.).

—

ჩინელი ვაჭარი საკუჩი, რომელიც პორტ-არტურში რაღაც დანაშაულობისათვის ციხეში უმუშავებიათ და ბოლოს გაპარულა, ამბობს: პორტ-არტურში ყველა მცხოვრებთ ამუშავებენ, ვისაც რა საქმე უფრო ეხერხებაო. კერძო კაცებს სანოვაგე წაართვეს და, თუ დამალა ანუ გაჰყიდა ვინმემ, დიდი სასჯელი მოელისო. რძე და შაქარი ძალიან ნაკლებად არის. ჯარის კაცებსა და მცხოვრებთ დღეში თითოს მხოლოდ ორი უნცია დამარილებული სანოვაგე ეძლევაო. გემებიდგან წამალი და იარაღი სულ ხმელეთზე გადაზიდეს. დღე და ღამე გაცხარებული მუშაობაა ციხის გალავნის გარედ, მრავალნაირ თხრილებს იღებენო. გენ. სტესელი ამხნევებს მეციხოვნეებს პატრიოტულის სიტყვებით და ისინიც სულ „ურას" უძახიან და ამბობენ, მტერს არ დავნებდებითო. ჩინელები წინანდელ სახელს უწოდებენ პორტ-არტურს, თუმცა გენ. სტესელი ამას სასტიკად უკრძალავსო (რ. ვ.).

—

ვიცე-ადმირალ ვირენიუსს უთქვამს უცხოელ კორესპონდენტისათვის: იაპონელებმა პორტ-არტური რომ აიღონ ხმელეთიდგან, საფიქრებელია, რუსის ფლოტი გავა ნავთსადგურიდგან და საჩქაროდ გასწევს ვლადივოსტოკისკენ. რამდენიმე გემი მაინც გადარჩება. და ეს უფრო გმირული საქციელი იქმნება, ვიდრე თავის ხელით დაღუპვა ნავთსადგურში. მაინც და მაინც ფლოტი ეცდება, რაც შეიძლება, მეტად დააზიანოს მტრის ფლოტიო. (პ. ვ.).

## ტფილისი

—

*** ამას წინად, როგორც მკითხველთ უკვე ვაუწყეთ, სურმალინის მაზრის მომრიგებელი შუაკაცი ილ. ჭყონია შეეკითხა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, მაცნობეთ თუ როგორ მზადდება ხალიჩებისა და სხვა ძვირფას ნაქსოვების სღებავი წამალიო. სურმალინის მაზრაში თურმე მცხოვრებნი ძალიან მისდევენ ხალიჩების ქსოვას, მაგრამ მათ ხელს უშლის რიგიან სღებავის უქონლობა. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ გადაწყვეტილი პასუხი არ მისცა ბ-ნ ჭყონიას, რადგანაც საზოგადოებაში ხალიჩების სღებავ წამლის მომზადების საგანი ბევრჯელ ყოფილა აღძრული, მაგრამ კი არ შეუდგენიათ სახელმძღვანელო წიგნი. ახლა საზოგადოების ზოგიერთ წევრს აზრად მოსვლია ეს საკითხი ხელახლა აღძრან სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებაზედ. კრებაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე შინა მრეწველნი, რომელთაც კარგად ესმით ეს საქმე.

*** როგორც ტფილისის სასანიტარო სამკურნალო საბჭოს ცნობათაგან სჩანს, მაისის განმავლობაში 93 ადამიანი გამხდარა ავად გადამდებ ავადმყოფობით. წითელით გამხდარა ავად—48, ყვავილით—16, ხუნაგით—15, ყელჭირვებით—3 და სხვ.

*** ელისავეტპოლის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგი კარასაევი და ერევნის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგი ტკაჩოვი დანიშნულ იქმნენ ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორებად. (კავ.).

*** სოფ. უდედან (ახალციხის მაზრა) გვწერენ: აქ 30 მაისს კათოლიკეთა ეკლესიაში გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი განსვენებულ მოღვაწის პეტრე უმიკაშვილის სულის მოსახსენიებლად. აქაურ სკოლის მასწავლებელმა ივანე ბარიკალიშვილმა ეკლესიაში მოსულს ხალხს გააცნო განსვენებულის ღვაწლი სამშობლოს წინაშე და მისი იშვიათი სათნოება.

*** წელს ამიერ-კავკასიის სასტატისტიკო კომიტეტთან არსებულ სასტატისტიკო განყოფილების შესანახად მთავრობის-მიერ გადადებულ იქმნა 7,800 მანეთი.

*** სააქციონერო ამხანაგობა მხნედ ეკიდება მანა-დავითის მთაზე ფუნიკულერის აყვანის საქმეს. ამ დღეებში მუშათა რიცხვი ძლიერ გაამრავლა, ასე რომ მთაზედ გაცხარებული მუშაობაა. საზღვარ-გარეთიდგან გამოწერილი მასალა ჯერ არ მოსვლიათ; მოელიან აგვისტოს პირველ რიცხვებში. იმედი აქვთ, რომ სეკდემბრამდე უთუოდ მზად იქნება ფუნიკულერი.

*** ბორჯომ-ახალქალაქის გზა ხშირს წვიმებს ისე გაუფუჭებია, რომ მიმოსვლა შეუძლებელია. უკვე შეუდგნენ გზის შეკეთებას. ტფილისიდგან მუშაობის დასათვალიერებლად გაგზავნილ იქმნა ტფილისის საგუბერნიო ხუროთმოძღვარი ბ-ნი ანტონოვი.

*** ქალაქის გამგეობას აზრადა აქვს ინჟინერ მეტკის თანაშემწედ მიუნჰენიდგან მოიწვიოს მისი თანაშემწე, ინჟენერი ვალტერი.

*** სამშაბათს, 8 ივნისს, კრება ექმნება ქალაქის საბჭოს-მიერ არჩეულს კომისიას შუა ბაზარში კერძო კაცთა მამულების შეძენის შესახებ მოსალაპარაკებლად. ადგილის ყიდვა კერძო კაცთაგან საჭიროა ქუჩის გასაფართოვებლად.

*** ორშაბათს, 7 ივნისს, ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრებას მსჯელობა ექმნება ქალაქის მოურავის არჩევნების დროს დანიშვნის შესახებ.

*** ამ თვის 15-დგან კავკასიის საარეშუმო სადგურთან დაარსდება კურსები მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობისა. მსურველთ კურსების მოსმენა უსასყიდლოდ შეუძლიანთ.

*** ამ ჟამად ტფილისშია ბრძანდება იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი. დღეს ეპისკოპოსი შიო მღვიმეს მიემგზავრება, სადაც ერთ თვეს დაჰყოფს.

*** ტფილისის კადეტთა კორპუსში დასრულდა ეგზამენები. კორპუსის მოსწავლენი მანგლისს მიდიან „ლაგერად".

## ჩვენებური ამბები

—

ს. პრიუტი. პრიუტი ტფილისიდან 30 ვერის მანძილზეა. წინად ამ სოფელში იმდენი პური მოდიოდა, არა თუ თვითონ ჰყოფნიდა, გასასყიდათაც ბევრი ჰქონდა, ახლა-კი ნიადაგს სინოყივრე გამოეცალა და ვეღარ აჯილდოვებს მხვნელ-მთესველს. წლევანდელი გაზაფხული ძალიან ნოტიო და წვიმიანი დაგვიდგა. აპრილიდან დაწყებული დღემდე ერთი მზიანი დღე არვის უნახავს, სულ წვიმაა, წვიმა და შესაზარი ჰეჭ-ქუხილი. ნათესობა მიწაშივე ამოალპო და რაღას უნდა მოელოდეს მთესავი? ზამთრის თოვლმა გაზაფხულზედაც კი დაგვათვალიერა: 16 მაისს, მთებზე ნუღარ ვიტყვით, ძირსაც კი დასდო გვარიანი თოვლი, თუმცა დიდხანს არ დასძლო, მაგრამ ძლიერ კი დააზარალა ცხვარი. 19 მაისს, საღამოს 8 საათზე, ცამ მოიღუშა და ერთბაშად კოკისპირული წვიმა დაუშვა, ზედ მოჰყვა მსხვილი სეტყვა, რომელმაც ფოთოლიც კი არ შეარჩინა ხეხილს და ისედაც გაფუჭებული გზები სულ გაათხრა.

პრიუტი, უწყიან უთუოდ მკითხველებმა, რუსის სოფელია, დაფენილი რამდენსამე კომლად ვერის ხეობის ერთ მარჯვენა მთაზე. ამათ აქვთ მთავრობის მიერ აგებული ეკკლესია და სამრევლო

# ფელეტონი

—

### ქართველთა მოძულენი *).

ვინ არ იცის, რომ პატარა ყმაწვილებს საზოგადოდ ზნედა აქვსთ გადაქცეული დიდების მიბაძვა, მაგრამ მაინც სასაცილოა მათი ქცევა!.. აბა, რა სჯობია მის ნახვასა და ყურებას, როდესაც ბავშვი ჯოხზე გადამჯდარი, დანავარდობს ეზოში?.. იმ დროს მას თავისი თავი მართლა მხედარი ჰგონია და ჯოხიც ნამდვილ ბედაურად მიაჩნია. თვითონვე ხვიხვინებს, წიხლებსაც ისვრის, ლობეზე აბამს თავისს ჯოხს, ვითომ და ქერსაც უყრის კალთით და სხვ., და სხ...—ერთი სიტყვით, ალტაცებულია პატარა რაინდი. ერთი კიდევ სხვა ზნეცა სჭირსთ ყმაწვილებს: თუ რომ მოუწონეთ წასახალისებლად, ის მაშინვე წარმოიდგენს, სწორუპოვარი ვინმე ვარო და დიდებსაც აღარად აგდებს. მაგალითად, თუ ქება შეასხი, რომ შარჯვეთ ჰიდაობ შენ ტოლებთანო, იმას მაშინვე თავს გაუა და დიდებს დაეტაკება წასაქცევად. ასე მოუვიდა სწორედ ახალგაზდა ჯავახიშვილსაც, ბ-ნ იაკობ გოგებაშვილზე რომ მიიტანა იერიში!.. გოგებაშვილი დღეს ერთი უკეთესი მოღვაწეთაგანია ჩვენში: წინდახედული, შორს-მჭვრეტელი და გამბედავი მოპირდაპირე. საზოგადო საქმის შესახებ უსამართლობასა და თაღლითობას არავის შეარჩენს. და იქ, სადაც სხვები, მიიმალ-მოიმალებიან ხოლმე, არავის რამ ვაწყენინოთო, პირველ მოწინააღმდეგედ ის გაჩნდება ხოლმე. და რაღა თქმა უნდა, რომ მისი პრინციპები სომხების უსამართლობასაც ქართველების შესახებ ვერ იტანდნენ და სომხების საპასუხოდ და მათ უმართლო ცილის წამების დასარღვევად რამდენიმე სტატია დასწერა.

იმას, რაც თავისთავადაც შესამჩნევია, რეკლამა არ ეპირვება. გოგებაშვილის ნაწერებს, არა მარტო პედაგოგიურს, პუბლიცისტურსაც, დიდძალი ყურისმგდებელი ჰყავს. ჩვენში ხალისით ჰკითხულობენ მის ყოველგვარ ნაწერებს!.. მეტყვიან: რადგანაც სახელმძღვანელოაო?! მაგრამ... არა! ყოველგვარს ეტანებიან და რითი მოიგო იმან სხვებზე მეტად ხალხის გული?—გულწრფელობით!.. ბევრი ნიჭიერი მწერალი და მოღვაწე, რომ შრომისა და წერის დროს თავის თავზე უფრო ფიქრობს და ის საზოგადო საქმე, რაც საპირადოდაც არ გამოადგება, არ აინტერესებს და სულ იმის ფიქრშია: მეტი არა წამცდეს-რა, არავინ გავაჯავრო, უმეტესობა ჩემსკენ არ იქნება და რათა ვსთქვა ის, რაც სათქმელია, ბევრი ასე ფიქრობს და მეც მათ აზრს თავს მოვუყრი და, როგორც დროზე ნათქვამს, ჩემად გამოვსთქვამო და სხვანი და სხვანი!... ისინი სიყვარულსაც იჩენენ საზოგადო საქმეების შესახებ, გამბედავნიც არიან, როცა საშიში და მოსარიდებელი არა არის-რა და არც შრომას უფრთხიან, მაგრამ მათ ნაანგარიშებ მოქმედებას ყოველგან და ყოველთვის საპირადო სარჩული უძევს და მიტომაც მათ ნაშრომს სწორი ლარი არ გაებმის: მიხვეულ-მოხვეულია, ოლრო-ჩოლროიანი, სხვა და სხვა დროს სულ სხვა და სხვაგვარად წარმოდგენილი, თუმცა კი ნიჭის ძალა მაინც ყოველგან ატყვია. იმათი მოქმედება ჰგავიან დედინაცვლის ქცევას გვაგონებს გერის შესახებ, რომელსაც თითქოს არაფერს არ აკლებს, მაგრამ მაინც, რაღაცა კი აკლია გერს, და ეს რაღაცა არის მშობლიური მხურვალება!.. ღვიძლი დედა კი სულ სულ სხვა არის: როცა შვილზე ჰფიქრობს და ჰზრუნავს, თავს ივიწყებს! აღარავის და აღარაფერს ერიდება!.. ოღონდ კი მის ნაშობს არა ევნოს-რა და თვით აფთარსაც კი ჩაუვარდება პირში. სწორეთ ამ გვარ დედას გვაგონებს გოგებაშვილიც. მისთვის საზოგადო მოღვაწეობა სასხვათაშორისო, თავშესაქცევ და საპირადო საქმედ არაოდეს არ ყოფილა. ერთხელვე, რაღაი კი დაადგა საზოგადო გზას, იმ თავიდან ბოლომდე არ გადუხვევ-გადმოუხვევია!.. მიდის სისწორით, შეუპოვრად. აქეთ-იქით განზე არ იხედება, რომ აქეთაც თვალი აქნიოს და იქითაც, ნეიტრალურად. და თუ წინ ვინმე გადაეღობა ხელის შემშლელად, იმას კი არ ჩამოუდგება! იძულებული ხდება ებრძოლოს და იმ ბრძოლის დროს, მეტიც რომ ჩაიდინოს რამ, არ უნდა ეძრახოდეს, რადგანაც ნათქვამია: «მოქნეული და გამოზომილი ვის გაუგონია?" დღეს ბატ. გოგებაშვილისთანა კაცებს ჩვენ, ქართველები, ქონქილივით უნდა ვეძებდეთ, არა თუ სამტროდ უჩხიკინებდეთ!.. — ქართველებში ერთი უცნაური სენია, მაგრამ ფეხ-მოკიდებული, რომელიც სხვაგან, უცხო ქვეყნებსა და ერებში უცნობია. იქ ყველგან თავისს გამოჩენილ პირებს და საზოგადო მოღვაწეებს პატივის ცემით იხსენიებენ და საქმითაც ხელს უწყობენ. ჩვენში კი, სიტყვით რომ ცამდი აჰყავთ, საქმით ქვესკნელს უთხრიან. ავიღოთ, ვინც გინდათ, ჩვენში საზოგადო მოღვაწედ დასახელებულთაგანი! სანამ ცოცხალია, მისს სადღეგრძელოსა ჰსმენ, ავად რომ გახდება, პარაკლისებს უხდიან, და რომ მოკვდება—პანაშვიდებს. დასაფლავება ხომ კიდევ უფრო უცნაურია: გვირგვინებს აყრიან გულზე და გაჩალხულის ენით მზესა და მთვარეს თავზე ატეხენ. ერთი სიტყვით, თათრულ ანდაზას ამართლებენ: „მოლა შიმშილით მოჰკლეს და მერე კი, რომ მოკვდა, პირში ფლავს სტენიდენო». ნუ თუ აქამდი, ჯერ კიდევ, ვერ შეუგნია ჩვენ საზოგადოებას, რომ ესები ყველა: სადღეგრძელოც, გვირგვინებიცა და სიტყვის რახა-რუხებიც, ყველა ერთად, უბრალო წამხედურობით გამოწვეული, ჩხირ-კედელაობაა, ნამდვილ მოღვაწისათვის უფრო გულსატკენი, ვიდრე სასიამოვნო? მოღვაწის ბედნიერება ის არის, როცა მისს აზრსა და მიმართულებას ბევრი თანაუგრძნობს და მიმდევრები ჰყავს! როდესაც ჰხედავს, რომ მისი სათაყვანო «წმინდა წმინდათა» სხვებისათვისაც სათაყვანო გამხდარა!.. როდესაც თანა-მოაზრენი გვერდში უდგანან და, ხელის შეწყობით, შრომას უადვილებენ და სხვანი!.., აი, სწორედ ამ გვარი ჩუმი თანაგრძნობაა მოღვაწეს რომ გულს უკეთებს, ამხნევებს საზოგადოდ და არა ის, ბავშვური ხმაურობა, ჩვენში რომ თანაგრძნობა ჰგონიათ.

—მე არ შევხვედრივარ ჩვენში არავის მისთანას, რომ გოგებაშვილზე, როგორც საზოგადო მოღვაწეზე, ურიგო რამ ეთქვას! მაგრამ იმ კარგის მთქმელებშიაც კი მინახავს მისთანაები, რომ საქმით ორმოს უთხრიდენ მის მოღვაწეობას, ოღონდ კი დაებრკოლებიათ როგორმე. მაგალითად: ბატ. გოგებაშვილმა შეადგინა სახელმძღვანელო, ჩვენის შვილებისთვის გამოსადეგი და ჩვენთვის სასარგებლო, მტრებმა ექსორია მოუნდომეს და ჩვენებმა, ნაცვლად მისა, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ სხვებისათვის, პირ-იქით, შეწყობა აღმოუჩინეს, რომ პირადად გოგებაშვილს რამე დავაკლოთო.

სამწუხაროა ამ გვარი მოვლენა საზოგადოდ!.. მაგრამ ერთი ასად უფრო საწყენი და გულ-დასაწყვეტი მაშინ არის, როცა პირდაპირედ ამგვარ საუკუღმართო საქმეში გამოდის ის, ვისგანაც სულ სხვას გამოველოდით. ბ-ნ ჯავახიშვილის გოგებაშვილზედ გამოლაშქრებაც, ვაგვაოცა! შეიძლება ერთხელ ოდესმე ბ-ნი ჯავახიშვილი ბრძენთა-ბრძენი შეიქმნეს და მეცნიეროთა-მეცნიერიც გამოდგეს, მაგრამ ჯერ კი არც დრო და არც მისი ნაშრომ-ნაღვაწი უფლებას არ აძლევს, რომ მედიდურად მოძღვრიდეს გოგებაშვილებს!.. სიმართლეც რომ სჭეროდა ხელში, მაშინაც სიფრთხილით უნდა მოქცეულიყო, თვარა საუკუღმართო სოფიზმებით აღჭურვა რა საკადრისია?!..

ბ-ნ ივ. ჯავახიშვილს თავისი სამეცნიერო მრისხანება მოუვლენია იაკობ გოგებაშვილისადმი, უფრო მეტად მისის ორის წიგნაკის გამო: „ბურჯი ეროვნებისა" და

*) იხ. «ივერია» № 129.

სკოლა.... ამ ეკკლესიაზედ რამდენიმე სოფლებია მიწერილი, დაფენილი ვერის ხეობაზედ, სადაც სცხოვრებენ მთიულები. ყველა აქ მცხოვრებნი გადმოსახლებულან არაგვის ხეობიდგან, გუდამაყრიდგან. ამათი გადმოსახლება გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, გუდამაყარი მდებარეობს ფასანაურიდგან ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს, სადაც გაწოლილია გუდამაყრის დიდი ხევი, რომელსაცა ჰყოფს შავი არაგვი. გაღმა-გამოღმა კლდეებზედ დაფენილია სოფლები. ალაგ-ალაგ მოსჩანს პატარ-პატარა სახნავი მიწები, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებთ. აქ მცხოვრებთა უმეტესობას ცხვარი ან სხვა მსხვილფეხი საქონელი ჰყავს. აი ესენი, რომელთაც მიწის მოსავალი არ აკმაყოფილებდა, გადმოსახლდნენ, დასტოვეს თავიანთი მამა-პაპური კარ-მიდამო და მოეკიდნენ ხვნა-თესვას ვერის ხეობაზე, რადგანაც მათთვის ხელ-მისაწვდენი იყო და თან კარგადაც ემარჯვებოდათ სახნავ-სათესის მუშაობა.

ვერის ხეობაზედ არის მიწები სანადელო და საიჯარადროც. ერთი სოფელი შავმთა უფრო მივარდნილსა და მაღალს მთაზედ მდებარეობს. ესენი უფრო სხვა პირობებით არიან დასახლებულნი, ვიდრე სხვა სოფლელები. სხვა სოფლებში, როგორც ნადელის წესია, იხდიან სანადელო გარდასახადს, ხოლო შავმთაში მცხოვრებთ სხვა ნაირი ხელ-შეკრულება აქვთ დადებული: ეს ადგილი კნეინა ჰ-ძისაა. სოფელმა უნდა გადაუხადოს მებატონეს 500 მ. წელიწადში, ურემი შეშა და ერთი ლიტრა ერბო კომლზე. თუ შეშის გაყიდვით ისარგებლებენ, მებატონეს ბაჟი 50 კ. უნდა მისცეს, საბალახე უნდა ექირაოთ შემოდგომამდე და ყოველ შემოდგომას უნდა დაუცალონ. ამ ხელ-შეკრულობის ვადაა ექვსი წელიწადი. შემდეგ ვადისა, სადაც უნდათ მიბრძანდნენ ეს ხიზნები, ხოლო თუ აუშენებიათ რამე მებატონის მამულში, ან სახლი ან ბოსელი, ბეღელი და სხვა, უნდა დაუტოვონ მებატონეს ხელ უხლებლად.

რასაკვირველია, ხალხი გრძნობს ამ ბეჩაობას, მაგრამ ვის გაუზიაროს თავისი დარდი?!

კოტე ფასანაურელი.

---

საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობა ძველად.

**გრიგოლ ლუკას ძე ხურსიძე და სტეფანე ივანეს ძე ზუბალაშვილი ინდოეთში და მათი აღებ-მიცემა.**

(შემდეგი) *)

ჩვენდა სამწუხაროდ, 1-ლ ჩვენს წერილში მოხსენებულ ძვირფას წიგნის შესახებ ჩვენ ერთობ მცირედი ცნობანი გვაქვს. ერთად ერთი წიგნი გადარჩა, მეფე ერეკლეს ნაქონი, რომელიც უკანასკნელ დროს შეეძინა სომეხთა ცნობილს ისტორიკოსს-არქეოლოგს ალექსანდრე ერიცოვსა. ალ. ერიცოვმა ეს ვრცელი წიგნი მაჩვენა და თან ასე მითხრა:

ბევრს ვეცადე, რომ ის წიგნიც მეპოვნა, რომელიც სომეხთ კათოლიკოზს ჰქონდა, მაგრამ არსად აღმოჩნდა. ეჩმიაძინის წიგნთ-საცავში არ არის. ვერ მივაგენ აგრეთვე რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორის წიგნს. ეს გახლავსთ ერთად ერთი წიგნი, მეფე ერეკლეს ნაქონი, რომელიც მე მოვიპოვე 1850 წლებში. ამ წიგნის შესახებ ჩვენს ოჯახში ასეთი ანდერძი მაქვს დატოვებული: «ჩვენი სახლის წევრნი რომ სახლიდგან სხვაგან იყვნენ წასულნი და შინ დატოვებული ჰყვანდეთ პატარა ყმაწვილები და მათი ყურის მგდებელი და, ვსთქვათ, მოხდეს ისე, რომ ჩვენს სახლს ცეცხლი წაეკიდოს და ეს ამბავი ოჯახის წევრთ შეიტყონ, მალე მივიდნენ სახლში ცეცხლის გასაქრობად, მათ ჯერ ეს წიგნი უნდა გაიტანონ სახლიდგან და მით გადაარჩინონ ცეცხლს და მერე, შეიძლება, რომ ყმაწვილებს მოხვიონ ხელი და გაიყვანონ».

აი ასე აფასებდა ამ წიგნს ალ. ერიცოვი, უეჭველია, ეს საშვილიშვილო დავალება მის მეუღლესაც კარგად ეცოდინება. ქართველთ ერის ისტორიისათვის ეს წიგნი მეტად ძვირფასი განძია; დღეს ეს ერთად ერთი იშვიათი ეგზემპლიარი ეჩმიაძინის წიგნთ-საცავში იქმნება შენახული, რადგანაც განსვენებულის ალ. ერიცოვის წიგნთ-საცავი ხსენებულს წიგნთ საცავისათვის შეიძინა ერთმა მდიდარმა სომეხმა და შესწირა. ეს წიგნი იქ იქნება შენახული, მისი ჩვენთვის მთლად გაცნობა და დაბეჭდა არ იქმნება მეტი. ჩვენ აქ სულ ამ წიგნით ვსარგებლობთ.

მეფე ერეკლემ ბორჩალოს მაზრა იაკობ შახრიმიანს აჩუქა; ყველა ადგილები სამეფოს დაკანონებით მისს საკუთრებად დარჩა. იმ დღიდგან მამულების შესავალს არავინ იღებდა, პატრონისთვის ინახებოდა და გროვდებოდა. იაკობ შახრიმიანი-კი არ მოდიოდა საქართველოში. ამასობაში გარდაიცვალა იაკობ შახრიმიანი და მისს შემდეგ მისი შვილი უნდა მოსულყო საქართველოში; ისიც იწერებოდა, მოვალო, მაგრამ არც ის მოსულა. ეს ამბები საქართველოსა და სომხეთში ბევრგან იცოდნენ. 1799 წ. მეფე გიორგის სპარსეთისა და ოსმალეთის სომეხთა რამდენმამე კომლმა სთხოვა საქართველოში გადმოსახლების ნება-რთვა. ამისთვის მათ რუსეთის იმპერატორს პავლე პირველსაც მიჰმართეს და მეფე გიორგისთან შუამდგომლობა სთხოვეს.

პლ. იოსელიანის სიტყვით, იმავე დროს პავლე იმპერატორმა გიორგი მეფეს ასეთი წერილი *) გამოუგზავნა:

„თქვენო უმაღლესობავ! თქვენი მოსაზღვრე ქრისტეანთ სომეხთა მცხოვრებნი მთხოვენ, რომ დაგავალოთ, რათა თქვენმა უმაღლესობამ მათ ნება მისცეს საქართველოში გადმოსახლებისა და მე ჩემად მოგახსენებთ, რომ ეს თქვენის სამეფოსთვისაც კარგი იქმნება, რადგანაც სომხები ქრისტიანი ხალხია და თქვენც გამოგადგებიან სამეზობლოდ, ამიტომ გთხოვთ მათის სურვილის დაკმაყოფილებას“.

მეფემ იმპერატორის თხოვნა შეისმინა, პატივი სცა და აცნობა, რომ ჩვენს სამეფოში ერთი დიდი კუთხე მეფე ერეკლემ იაკობ შახრიმიანს აჩუქა. ის ადგილები მის საკუთრებად რჩებაო, ის კი ჯერ არ მოდისო. გადმოსახლდენ, იქ დასახლდნენ და, როცა შახრიმიანი მოვიდეს საქართველოში, მაშინ იმას აძლიონ ხარჯიო. საქმე მალე გამოირკვა, სომეხთ მალე ეცნობათ მეფის აზრი და პავლე იმპერატორის შუამდგომლობა. სომეხნი მალე მოვიდნენ საქართველოში და საქმე ისე მოეწყო, რომ 1800 წელს რამდენიმე სომეხთ ოჯახი გადმოსახლდა საქართველოში; იგინი დასახლდნენ ბორჩალოს მაზრაში. ეს სომეხნი ხარჯს შახრიმიანის შვილს უნახავდნენ, მაგრამ იგი-კი მაინც არ მოდიოდა.

ამასობაში საქართველო რუსეთის იმპერიას დაუკავშირდა და ხსენებული ადგილებიც, მეფე ერეკლეს დამტკიცების ძალით შახრიმიანის საკუთრებითს დაშთა: მისი შემოსავალი მთავრობის ხელში გროვდებოდა და შახრიმიანს ენახებოდა. ამ ყოფამ კარგა ხანი გასტანა ყველამ იცოდა, რომ ბორჩალოს მაზრა მეფე ერეკლემ შახრიმიანს უბოძა; ამიტომ ხმას არავინ იღებდა, რუსთა მთავრობაც იცავდა მეფე ერეკლეს განკარგულებას. 1845 წელს, ვორონცოვის გამგეობის დროს, თ.თ. ორბელიანებმა და ბარათაშვილებმა ამ ადგილების შესახებ ასეთი დავა ასტეხეს.

მეფე ერეკლემ ადრევე, მამულები ჩამოგვართვა; იმის სამაგიერო მამულების ბოძება ვეღარ მოასწრო, რადგანაც მალე გარდაიცვალა. ყველა ის მამულები მეფე ერეკლემ ინდოელ სომეხ კრეზს, შახრიმიანს, მიუბოძა საჩუქრად. მას შემდეგ ეს მამულები მის ჩამომავლობის საკუთრებათ რჩება. საქართველო რუსეთს დაუკავშირდა. ამას შემდეგ მამულების შესავალიც შახრიმიანის შვილებს ენახებათ. მაგრამ ისინი მაინც არ მოდიან. როგორც ისმის, არც მოვლენ. აგერ 50 წელი სრულდება და მოლოდინი მოლოდინად რჩება. ამიტომ, ვითხოვთ, რომ ხაზინაში შესული ფული მთავრობის სასარგებლოდ დაშთეს და ჩვენი ძველი მამულები ჩვენვე დაგვიბრუნდეს. ეს თხოვნა ვორონცოვმა შეიწყნარა და მამულები მათვე დაუბრუნდათ.

ყველა ეს ცნობა ცხადად ჰმოწმობს, რომ ქართველ ვაჭართა და მრეწველთა ძველადგანვე ჰქონდათ ინდოელებთან კავშირი, მისვლა-მოსვლა, აღებმიცემა და სხვ. საქმე ისე იყო, რომ XVIII საუკუნეში კალკუტასა და მადრასეს საქართველოს ქართველთა და სომეხთა სავაჭრო ქარვასლებიც არსებობდა და მასთან აღებ-მიცემაც ჰქონდათ გაჩაღებული.

ზ. ჭ.

*) იხ. ივერ. № 115.

*) „მეფე გიორგის ცხოვრება“

---

„Правда о Тифлисѣ“. ეს ორი თხზულება, როგორც საზოგადოდ სხვა ყველა მისი ნაწარმოებიც, ღირსია, რომ ეპიგრაფად უძღეს დიდის წინასწარმეტყველის სიტყვები: „გული წმინდა დაბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა“.

ქართველი არ უნდა იყოს ის მკითხველი, რომ გადაიკითხოს ეს წიგნაკები და მადლობის გრძნობით არ აღევსოს გული სიმართლის მოყვარე ავტორისადმი! მაგრამ სულ სხვაგვარად მოქცეულა ავტორი იმ სამოძღვრო სტატიისა, რომელსაც „მეცნიერება და მამულიშვილობა“ ჰქვიან. ამ თხზულების ზედა პირი დიაღ ლოღიკურია და, ვითომც, გულწრფელადაც დაწერილი, მაგრამ სარჩული კი ქვეშ-ქვეშური... შეუფერებელი... ბოლო-კიდური აზრი სულ სხვას გვეუბნება, ვერ უდის კარგი სუნი და მისის სხეულის მიკარება და ასო-ასოდ გაჩხრეკა აღარა გვსურს და საჩქაროდ გვერდს ავუვლით, სწორედ ისე, როგორც გზაზედ მიმავალი, სადმე გზის პირად იგრძნობს უსიამოვნო სუნს და, ნაცვლად იმისა, რომ დაათვალიეროს, რა აყროლებულა და რა უფრო უყარს, თავი თუ ფეხები,—ამბობს: ეს რაღაც ლეში იქნება! სულ ერთია, რაცაა! სუნი-კი საკმაოდ საგულისხმოაო! და ჩქარობს გაჰშორდეს იმ ადგილს.

დიაღ, უნდა გამოვტყდეთ, რომ ბ-ნ ჯავახიშვილის სტატიასაც ვერ უდის კარგი სუნი.

წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი მშობელი დედა ან მამა მტრებს დაუსვამთ დამნაშავეთა სკამზედ და სცდილობენ მისს გაპირშავებას ქვეყნის თვალში: ცილსა სწამებენ წარსულში, უკიცხავენ აწმყოსა და სცდილობენ ხელი ააღებინონ მომავალზედაც. ჩვენ მივჩერებივართ გულგრილად და ხმას არ ვიღებთ. მხოლოდ ერთი ჩვენთაგანი ვეღარ იტანს უსამართლობას და ესარჩლება მშობელს: მოაქვს მასთან უტყუარი საბუთები, რომლითაც არ ამართლებს უსამართლოდ დევნილს, არამედ, პირიქით, ყოვლად ღირსეულად გვისახავს! ეს საბუთები არც ერთი გადაჭარბებული არ არის... სიტყვა მოსარჩლისა გულწრფელია და წმინდა!.. მადლობის მეტი რაღა ეთქმის უმართლოდ დაჩაგრულ მშობლის მოსარჩლე შვილს? რასაკვირველია, არაფერი! მაგრამ მიუხედავად ამა ყოლიფრისა, წამოდგება ერთი ჩვენი მოძმეთაგანი და საყვედურებით მიჰმართავს მოსარჩლე შვილს: «საკადრისი არ არის, რომ შენ ესარჩლები დედას!.. მაგის ღირსებას აზვიადებ, ნაკლებს ამცირებ და ეს ყოლიფერი მეცნიერების წინააღმდეგიაო და სხვანი. აი, რა ვუთხრა მაგისთანა თვალდამდგარ მეცნიერებას, თუ მართლა გულწრფელად ამბობს?!. და თუ არა, მაშინ-კი ღმერთმა შეინახოს!.. თქმაც აღარ ღირს. ეს უღირსი შვილი, თუ მართლა გულწრფელია და მეცნიერების ბრმა მონა, რატომ მაშინ კი არ ამოიღებს ხმას, როცა უსამართლოდ მისს მშობელს აპირშავებენ? რაღა მაშინ აგონდება მეცნიერება და მისი ვითომც პრინციპები, როცა მისი მოძმე ქვეყანას ამხილებს მისის მშობლის დაუძინებელ მტრების უსამართლობას და პირნათლად გამოჰყავს მშობელი?.. ამის პასუხი მოგვცენ ბატონმა მარრმა და მისმა მიმდევრებმა, რომელთა რიცხვში ყველაზე მეტად ჯერ-ჯერობით თავი იჩინა ბ. ივ. ჯავახიშვილმა და ჩვენ კი შორს და მშვიდობით. იმათთანა ავსაც და კარგსაც ღმერთმა აგვაშოროს, სანამ არ შეიგნებენ თავის დამნაშაობას, ნებსით და უნებლიეთ.

ჯაჯა.

---

# წერილები

### რედაქციის მიმართ.

ჩვენის პატიოსნისა და სამშობლოს სიყვარულითა და ერთგულებით გამსჭვალულის მოღვაწის პეტრე იოსების ძის უმიკაშვილის გარდაცვალებამ დიდათ შემაწუხა... შორიდამ მუხლს ვიდრეკ და დავსტირი ჭეშმარიტის ქართველის, ნაყოფიერის მუშაკის ცხედარს. შეუერთეთ ჩემი თანაგრძნობა და მწუხარება გარდაცვალებულის მოღვაწის ღვაწლის დამფასებელთა გლოვა-მწუხარებას.

ქაიხოსრო გედევანი.

—

განვლილ 1903 წლის მაისის თვეში, № არ მაგონდება, თქვენ პატივცემულ გაზეთის გვერდზე ვიდაც, „გეტატო.-ს ხელის მოწერით, საზოგადოების მაგიერად, ან შეიძლება ვსთქვათ, მინდობილობით, ჩემგან ანგარიშს თხოულობდა, თუ რაში დავხარჯე სამტრედიის ორ-კლასიან სასწავლებლის სასარგებლოდ შემოწირული ფულები ამავე სკოლის წიგნთ-საცავის შესაძენად, რაზედაც პატივი მაქვს გაცნობოთ სამტრედიის პატივცემულ საზოგადოებას და მასთან ბ. „გეტატო-საც, სულ გადადებული ფული შესაძენად სამასწავლებლო და სამოსწავლო წიგნთ-საცავისათვის იყო 85 მანეთი. ამ ფულებისაგან სამტრედიის გამსესხებელ-შემნახველ კასისაგან იყო შემოწირული 50 მანეთი.—პირველ სალიტერატურო საღამოსაგან, რომელიც გაიმართა განვლილ წელში, ყოველ ხარჯს გარდა, შემოვიდა 27 მანეთი, მეორე სალიტერატურო საღამოსაგან შემოვიდა 8 მანეთი. სულ მრთელი ჯამი 50+27+8=85 მ. ამ ფულებისაგან: სამასწავლებლო-წიგნთ საცავისათვის არის შეძენილი ოთხი ცალი შილერის თხზულებანი სურათებით, მშვენიერი ყდით. ოთხივეში მიცემულია მოტანით ოცდა ხუთი მანეთი (25 მან.), სამი ცალი კრებული მასალათა აღსაწერად კავკასიის ტომთა და ადგილთ—„Сборникъ матеріаловъ для описанія племенъ и мѣстностей Кавказа“, ღირებული სამი ცალი ექვსი მანეთი. სამოსწავლო-წიგნთ-საცავისათვის შეძენილია წიგნები: სამას ცამეტი—313 ცალი პატარა წიგნაკები, გამოწერილი ბ. ქუთაისის სახალხო სკოლების ინსპექტორისაგან—„Книги для дѣтскаго чтенія, ღირებული მოტანით ოცდა თერთმეტ მანეთად—31 მანეთად, სურათები თუ ტილოზე გაკრული, თუ სქელ ქაღალდზე 70 ცალამდის, მშვენიერი ხელობით (დახატულია ცხოველები, მცენარეები, გეოგრაფიული აღწერილობით) მიღებულია ოცდა სამ მანეთად—23 მან. და სულ გავიდა—25+31+23+6=85 მან.

დაგვიანების მიზეზი ანგარიშის წარმოდგენისა ის გახლავს, რომ ყველა ზემო აღნიშნული წიგნები და სურათები იქმნა გამოწერილი სამასწავლებლო მთავრობის ნებადართვით, ქ. ი. ბ. სახალხო სკოლის (ქუთ. გუბ.) ინსპექტორმა გამოიწერა და წიგნების გამყიდველებმა თავის დროზე პეტერბურგიდგან ვერ მოგვაწვდინეს წიგნები. თუ ვინმეს ეჭვი შეეპარება სინამდვილეში ჩემ მიერ წარმოდგენილ ანგარიშისა, ვსთხოვ მობრძანდეს რწმუნებულ ჩემდამო სასწავლებელში და ნახოს გამოწერილი წიგნები და სურათები.

ზედამხედველი-მასწავლებელი სამტრედიის ორკლასიან სასწავლებლისა ლეონტი ჯაში.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 ივნისი.

**მუკდენი.** (საკუთარის კორ.). რომ პორტ-არტურიდან უკან დაგვეხევინებინა მტრისთვის, დაშიცაოდან სამხრეთად ჩვენი რაზმი გაიგზავნა. რაზმს 1 და 2 ივნისს ვაფანგოუსთან ბრძოლა ჰქონდა დიდძალ მტერთან; ბრძოლის დროს იაპონელებმა დიდი ზარალი ნახეს. ბრძოლას შემდეგად ჩვენის მდგომარეობის გაუმჯობესობა მოჰყვა.

**ტოკიო.** («რეიტერის სააგ.»). ვაფანგოუსთან 1 ივნისს ბრძოლის დროს იაპონელებმა ათასი კაცი დაჰკარგეს და ბევრი ზარბაზნები, თან არევ-დარევით ლტოლვილ იქმნენ. დილის გაზეთები 2 ივნისს იუწყებიან, რომ ბრძოლა ისევ არისო. 2 ივნისამდე რუსები წარმატებით მოქმედობდნენ; იმათ მოსპეს ესკადრონი კავალერიისა, დაჰკარგეს რა 309 კაცი.—იაპონიის კრეისერი «ნიტაკა» ბრძოლის დროს ვლადივოსტოკის ესკადრსთან ძრიელ დაზიანდა. დილის გაზეთები იუწყებიან, ვლადივოსტოკის რუსთა გემები აღმოსავლეთისაკენ წავიდნენ.—ადმირალი ტოგო იუწყება, იაპონიის ნაღმოსანი ფლოტი 31 მაისს, ღამე, მივიდა პორტ-არტურთან, სადაც მოასწრო ნაღმის ჩადგმა. ფლოტილია უზარალოდ დაბრუნდა. 29 მაისს, როდესაც ნაღმის მმუსვრელთა მეორე ფლოტილია და სამი ნაღმოსანი ფლოტილია ესროდნენ ყუმბარებს, რომ იაპონელთა მოძრაობა გაეადვილებინათ რუსის ჯარებსა, ამ დროს ანაზდეულად გამოვიდა პორტ-არტურიდან კრეისერი «ნოვიკი» ათის ნაღმოსნით. ორთავე მხრიდან განჩდა საშინელი სროლა. იაპონიის გემები ცდილობდნენ, უკან დაწევით, გაეტყუებინათ გაშლილ ზღვაზე რუსის გემები, მაგრამ ისინი უკან დაბრუნდნენ პორტ-არტურს შუადღის სამს საათზე. იაპონელებს ზიანი არ მოსვლიათ. იმავე დღეს კრეისერ «ჩიტოზე»-ზე პორტ-არტურის მხრიდან შემოესმათ ზარბაზნების ხმა.

**ლონდონი.** კუროკის უმთავრეს სადგურში მყოფ კორესპონდენტისაგან მოვიდა დეპეშა და იუწყება, რომ რუსთა ჯარების რაოდენობა იაპონიის მეორე ლაშქრის წინააღმდეგ ძლიერდებაო. ორთავე მებრძოლნი ერთმანეთს უახლოვდებიან; მოელიან ბრძოლასა. იაპონიის პირველ ლაშქრის ფრონტში 30 მაისიდან ბრძოლა არა ყოფილა. რუსებმა კვლავ დაიჭირეს პატარ-პატარა რაზმებით ტუნიუიანის გზა ლიანმანგუანთან.

**ჩიფუ.** («რეიტერის სააგ.»). რუსის ვაჭარი, რომელიც აქ მოვიდა, ამბობს, რომ პორტ-არტურში კარგად ბლომად არის სურსათიო; ჰყავთ 9 ათასი სული საკლავი. სავაჭრო სახლმა, რომელსაც ის ვაჭარი ეკუთვნის, მთავრობას მიუტანა 9 ათასი გირვანქა დამარილებული ხორცი. ვაჭარი ამბობს, პორტ-არტურში 50 ათასი კაციაო.

**ნიუ-იორკი.** («რეიტერის სააგენ.»). დამწვარ გემ «სლოკუმზე» იყო დაახლოვებით ათასამდე კაცი, მომეტებულად ქალები და ბავშვები; ცეცხლის დროს ასამდე წყალში გადაცვივდნენ, ბევრი გვამი გამოირიყა ნაპირას; მომეტებული კი ცეცხლმა იმსხვერპლა. 306 დამწვარი გვამი იპოვეს, სულ ათას კაცამდე დაღუპულა.

**გმუნდენი.** დანიის მეფე წავიდა ვენას და იქ საღამოს მივიდა.

**გიანცზე.** ინგლისის რაზმმა შეიპყრო ლხასიდან მომავალ ლამა. ის ირწმუნება, თუ ინგლისელები ლხასს მიუახლოვდებიან, თიბეთელები უკანასკნელ სისხლის წვეთამდე გაუწევენ წინააღმდეგობას და დაუმატა, დალაი-ლამამ ყოველივე განამზადა, რომ ჩინეთიდან გაიქცეს.

**ბიისკი.** ამბავი მოვიდა, ალტაის მონგოლთა შორის მოძრაობა დაიწყო, რაც იმან გამოიწვია, რომ ვითომ ჩქარა მოელიან ღმერთის აიროტის მოსვლას, რომელმაც უნდა გაანთავისუფლოს ისინი უცხო ხალხთა მონობისაგან და დააარსონ საკუთარი სამეფო. მონგოლები ათასობით იკრიბებიან, ვიღაც სამი უცნობის კაცის მოწოდებით, რომლებიც თავის თავს აიროტის მოციქულებათ უწოდებენ. რომ ხალხზე იმოქმედონ და პირი გაიკეთონ, ისინი სასწაულებს აჩვენებენ, ე. ი. უჩვენებენ ფოკუსებს.

**პეტერბურგი.** „მართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია შემდეგი მოხსენება ჰელსინგფორსიდან: «დღეს თერთმეტ საათსა და ხუთს წუთზე გენერალ-გუბერნატორი ბობრიკოვი, როდესაც ის სენატში შედიოდა, დასჭრეს ორი ტყვიითა; ერთით მძიმედ დაიჭრა მუცელში, მეორეთი მსუბუქად კისერში; დამნაშავემ, რომელიც სენატორ შაუმანის შვილია, იქვე მოიკლა თავი.

**ლიაოიანი.** 31 მაისს იაპონელებმა დილით ადრე დაიწყეს ოტება გენერალ-შტაკელბერგის ჯარისა პულანდინიდან ვაფანდიანისკენ. შუადღისას გავარდა პირველად ზარბაზნები. ნაშუადღევის 2 საათზედ უკვე გამოირკვა შუბლი მტრის ჯარისა: 12 ვერსზედ იყო გაჭიმული ბანდეგოუს მაღლობებიდან ტასახოს მდინარემდე. იაპონელთ ჰყავდათ ორი დივიზია ქვეითის ჯარისა საბარო და სამთო არტილერიით და 12 ესკადრონი ცხენოსანთა. მეხუთე საათზედ ოტება შეჩერდა; მე-7 საათზედ ჩვენებმა ნელ-ნელა უკან დაიწიეს ჩრდილოეთისაკენ და თან სროლას განაგრძობდნენ; ჩვენმა არიერგარდმა ღამე გაათია ვაფანდიანს. ღამემ მშვიდობით გაიარა. დილით, 1 ივნისს კვლავ განახლდა ოტება იაპონელთა მხრივ; სამ რაზმად მოდიოდა ჯარი: პირველი—ტასახოს ხეობაზედ, შუა—რკინის გზის აყოლებაზედ და მარცხენა მხარე—ვაფანგოუს ხეობით. რადგან მტერს ჯარი მეტი ჰყავდა, ვიდრე ჩვენ, ვაფანგოუს სამხრეთად დაიწია ჩვენმა ჯარმა, ასე 6 ვერსის მანძილზედ. ნაშუადღევის 2 საათზედ იაპონიის არტილერიამ დაუწყო სროლა ჩვენის ჯარის შუა-გულსა და მარცხენა ფრთას; იმავე ფრთაზედ წამოვიდნენ მედგარის იერიშით იაპონიის ქვეითი ჯარები, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნენ და დიდი ზარალი მოუვიდათ. გაცხარებული ომი შეწყდა დაღამების გამო. ღამე გავათიეთ ჩვენს პოზიციაზედ, ხოლო 2 ივნისს, გათენებისას, შევუტიეთ მტერს. ბრძოლა განახლდა დიდის ძლიერებით და მთელს დღეს არ შეწყვეტილა. გამოირკვა, რომ იმ ღამეს იაპონელებს მაშველი ჯარი, თითქმის ერთ დივიზიაზე მეტი მიჰმატებოდათ. ამიტომ მოახერხეს და შემოერტყნენ ჩვენს მარჯვენა ფრთას. ბრძოლა გათავდა მით, რომ ჩვენ ვაფანგოუსთან დავიწიეთ.

**მოსკოვი.** მოსკოვის ქალაქი ჰგზავნის შორეულ აღმოსავლეთს ორს მოწყობილს კაბინეთს რენტგენის სხივებისას.

**ორიოლი.** მობძანდა მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ და გამოეთხოვა ჩერნიგოვის დრაგუნთა პოლკს, რომლის შეფადაც ბრძანდება დიდი მთავრინა. დიდმა მთავრინამ მოწყალეთ მოიკითხა და გზა დაულოცა პოლკს; თან გადასცა ხატი.

**ოჯარიოლი.** 3 ივნისს პარაკლისის შემდეგ მათ უმაღლესობათა თანადასწრებით აკურთხეს უავგუსტოესის შეფის შეწირული პოლკისადმი სალაშქრო ეკკლესია.

**ტოკიო.** («რეიტ. სააგენტო»). ტელისუს მახლობლად, ფუჯოუდან ჩრდილო-აღმოსავლეთად, რუსებს მოუკლეს 500 კაცი და 300 ტყვედ წაიყვანეს. იაპონელების ზარალი 1,000 კაცია.

ტრანსპორტი «ხიკომარუ» დაბრუნდა მაიუს. ის ამბობს, გუშინ, დილის 11 საათზე, შევხვდი ვლადივოსტოკის ესკადრასა, დავბრუნდი და ვილტვოდიო. თან ვანიშნე სხვა ტრანსპორტებს «კანაცარვამარუსა» და „ტურიმარუს“. საძმა გემმა მოასწრო და გადარჩა განსაცდელს. «ხიტაშიმარუ“ და „სადომარუ“-კი, თითოეული 6,000 ტონისა, შენიშნეს რუსებმა. რუსთა გემები შემოერტყნენ გარშემო. რა ბედი ეწიათ ტრანსპორტებს, არ ვიცით. ჰფიქრობენ, ბევრი ხალხი დაიღუპაო. «სადომარუსა» და «ხიდაშამარუდან» გადარჩენილნი ამბობენ, რომ ეს გემები დაჰღუპეს უაიტხედის ნაღმებითაო.

**ტოკიო.** («რეიტ. სააგ.»). «ხიტაშიმარუსა» და «სადომარუს» დაღუპვა ეჭვს გარეშეა. «სადომარუდგან» გადარჩენილი 397 კაცი მოვიდა კოკურას. დაწვრილებით ჯერ არა ვიცით-რა. თუმცა ხმა დადის, იაპონიის ესკადრა დაეწია ვლადივოსტოკისას და აუტეხა ბრძოლაო, მაგრამ ძალიან საეჭვოა, რომ ომი მომხდარიყოს. ამინდი ხელს უწყობდა რუსებს. ქარი და წვიმა ჰფარავდა მათს მოძრაობას. რუსეთის ესკადრა აღმოსავლეთად გაემართა; იაპონელები მისდევენ უკან და მოუთმენლად ელიან მათთან შებრძოლებას.

**ჩიფუ.** («რეიტერის სააგ.»). პორტ-არტურში მსახური ჩინელი მოვიდა. ის ამბობს, რომ რუსის გემები გამართესო.

**ნიუ-ჩუანი.** («რეიტერის სააგ.»). გუშინდელ საღამოს ათი საათიდან ისმის ზარბაზნების სროლა სამხრეთისაკენ. შუაღამისას ორმა ბატარეიამ გაიარა ქალაქზე. ხმა ისმის, კუროკის მეორე დივიზია 2 ივნისს, საღამოთი, გაიჯოუსკენ წავიდა, რომ რუსებს ზურგიდან დაეცეს.

**პეტერბურგი.** მანჯურიის ლაშქრის სარდლის გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა 3 ივნისს თარიღით: «გენერალმა ბარონ შტაკელბერგმა ღამის პირველ საათსა და 20 წუთზე ორიდანსამს ივნისს დეპეშით შემატყობინა»: 2 ივნისს განვიზრახეთ მტერის მარჯვენა ფრთას დავცემოდით, მაგრამ იმ დროს, როდესაც ამ საქმისათვის დანიშნულმა ჯარებმა წარმატებით დაუწყეს შეწუხება მტრის მარჯვენა ფრთასა, იაპონელებმაც თავის მხრივ იერიში მიიტანეს დიდის ძალით ჩემს მარჯვენა ფრთაზე. მე იძულებული გავხდი მერვე რეზერვი გამომეყვანა საბრძოლველად, მაგრამ საკმაოდ არ გახდა და იძულებულ გავხდი სამის გზით სამხრეთად დამეწია. ბრძოლის დროს მე-3 და 4 ბატარეიები არტილერიის პირველის ბრიგადისა სრულიად აამსეს იაპონელებმა ყუმბარებითა; 16 ზარბაზნიდან 13 სრულიად გავაფუჭეთ და დავტოვეთ; ჯარების ყოფაქცევა საუცხოვოა; ბევრნი მხოლოდ რამდენისამე ბრძანების შემდეგ დაბრუდნენ».

**ბიისკი.** მთიან ალტაიდგან დაბრუნებულნი ამბობენ, ღმერთი, რომელსაც მონგოლნი და ყალმუხნი ელიან, გამოცხადდა უსტაკანას მიდამოებში და დასახლდა ქოხში. ხალხს არ ეჩვენება. ხალხს ელაპარაკება მხოლოდ თავის მოსამსახურეს და პატარა გოგოს პირითა; მოსამსახურე შავი ბებერია თეთრს ტანისამოსში. რას ქადაგობს ეს ღმერთი უეიც მონგოლთა და ყალმუხთა შორის, ძნელი გასაგებია, რადგანაც მონგოლნი და ყალმუხნი, რომელნიც ადრევ რუსებს არაფერს უმალავდნენ, ახლა არაფერს უცხადებენ და ყოველივეს ჩქმალავენ. ვიცით მხოლოდ ის, რომ თანახმად იმ ღმერთის მოძღვრებისა, მონგოლებმა და ყალმუხებმა არ უნდა აიღონ სხვა ფული, გარდა ოქრო-ვერცხლისა, ამიტომ იმათ ქაღალდის ფულს უშვეს ხელი და სცვლიან იმაზე, რაც მოხვდებათ. ამისგამო რუსებმა მთებში ვაჭრობის დროს კარგი ხეირი ჰნახეს.

**ჰელსინგფორსი.** 3 ივნისს სენატში, დილის 10 საათსა და 5 წუთზე, სამეურნეო დეპარტამენტის დარბაზში შესვლის წინ, ფინლიანდიის უმთავრეს სამასწავლებლო გამგეობის მოხელემ, სენატში მოხელედ ნამყოფმა ევგენი შაუმანმა, სენატორად ნამყოფის შვილმა, სამჯერ ესროლა რევოლვერი გენერალ-გუბერნატორს; ერთი ტყვია კისერში მოჰხვდა, საშიში არ არის; მეორე ორდენში მოჰხვდა და გაჰკენწლა, მესამე-კი მუცელში მოჰხვდა. პირველი სამედიცინო შემწეობა რუსმა ექიმმა აღმოუჩინა და შემდეგ სახლში გადაიყვანეს. ექიმებმა საჭიროდ სცნეს, საჩქაროდ გაუკეთონ ოპერაცია. დაჭრილი ეზიარა, ხოლო შემდეგ სადოსტაქრო საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც კარგად გაუკეთეს ოპერაცია; მუცლიდან ტყვია ამოაცალეს, ბევრი ჩაქცეული სისხლი ამოაჩნდა. ტყვიისაგან დაზიანებული ნაწილი წელებისა ამოსჭრეს. დამნაშავემ იქვე მოიკლა თავი.

4 ივნისი.

**ტოკიო.** (რეიტ. სააგ.) დაწვრილებითი ამბები იაპონელთა დაღუპულ ტრანსპორტებისა ჰმოწმობს, რომ «ხიტაშიმარუ» და «სადომარუ» შეჰხვედრიან რუსეთის სამს სამხედრო გემს დილის 10 საათზედ 2 ივნისს კუნძულ იკის მახლობლად რუსებს დაუწყიათ სროლა, გაუჩერებიათ და მალე დაუღუპნიათ უაიტხედის ნაღმებითა. «სადომრუს» კაპიტანი და რამდენიმე სხვა ტყვედ წაუყვანიათ. 100 კაცი ჩამსხდარა ნავებში და კოკურას მისულან. «ხიტაშიმარუდან» გადარჩენილები წასულან ჩრდილოეთად და მიუღწევიათ სიმონოსეკს. არა იციან-რა, რა დაემართა ტრანსპორტს «იცუცმარუს». «ხიტაშიმარუსა» და „სადომარუზედ“, როგორც ამბობენ, ყოფილა 1,400 კაცი, ბლომად ცხენები და სურსათი. თუ ეს ცნობანი მართალია, დაღუპულ კაცთა რიცხვი 1,000 კაცზედ ნაკლები არ უნდა იყოს.

**ტოკიო.** («ვოლფის სააგ.»). იაპონიის იმ ლაშქრის სარდალი, რომელიც ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულზედ ლაშქრობს, მოახსენებს თავისს მთავრობას ოფიციალურად: «1-ლ ივნისს იაპონიის მთავარი ჯარი გაემართა ორ რაზმად ჩრდილოეთად, კერძოდ რკინის გზის აყოლებად და რუსის ჯარს დააწევინა ვაფანდიანიდგან აღმოსავლეთად მდებარე ადგილიდან. ნაშუადღევის 5 საათზედ რუსნი შეჩერდნენ და დაიჭირეს საგერი ადგილი. დაღამებისას იაპონელებმა ასტეხეს სროლა ზარბაზნებისა. მეორე რაზმი ჯარისა, რომელსაც აზრად ჰქონდა მუქარა რუსთა მარჯვენა ფრთედისა და გამაგრება იაპონელთა ზურგისა, აოტებდა მტერს ფუჩჟოუს აღმოსავლეთად. რუსებს მაშველი ჯარი მოემატათ. 2 ივნისს რუსებმა, ასე ორ-ნახევარ დივიზიამდე, ტელისუსთან დაბანაკებულებმა, დაიჭირეს პოზიცია დაფანგოუსა და ჩენსუჩანთან. გათენებისას იაპონელებმა შეუტიეს. უმთავრესი ჯარი რკინის გზის დამხარდამხარებით მიდიოდა, ხოლო მეორე ჯარი სუშიატუს მთიდგან. დილის 9 საათზედ მოვიდა ის ჯარიც, რომელიც მარცხენა ფრთედი იყო. მოშუადღევდა თუ არა, ბრძოლაში ჩაერია კავალერიაც. ამ სახით, რუსები გარშემორტყმულნი იყვნენ ნაშუადღევის 3 საათზე ტელისუს ახლოს, ცხარე ბრძოლის შემდეგ, რუსები იძულებულნი გავხადეთ უკან დაეხიათ ჩრდილოეთად. როგორც ცნობები მოვიდა, იაპონელებს 1000 კაცზედ ნაკლები დაეღუპათ. რუსებს წაართვეს 14 მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზანი და ტყვედ წამოიყვანეს 300 კაცი, მათ შორის კომანდირი მე-4 მსროლელთა პოლკისა. რუსებმა დასტოვეს ბრძოლის შემდეგ 500-ზედ მეტი მოკლული და დაჭრილი».

**ტოკიო.** («რეტ. სააგ.»). ვლადივოსტოკის ესკადრის შესახებ, რომ ვითომ უკან მისდევდეს იაპონიის ფლოტი, არავითარი ნამდვილი ცნობა არ არის.

**ნაგასაკი.** (რეიტერ. სააგენ.). ტყუილია ის ამბავი, ვითომ ყუმბარები დაეშინოთ კაკატასთვის. რუსეთის სამხედრო გემები 2 ივნისს გაჩნდნენ ოკიშიმას წინ და წაიღეს ბლომად სასმელი წყალი. შეჰნიშნეს სამი სავაჭრო გემი და დაუწყეს სროლა, მაგრამ გემები ივლტოდნენ. ტრანსპორტი «უგომარუ» მოვიდა გუშინ შიშიმას. ყუმბარები დაუშინეს, მაგრამ ზიანი ვერ მისცეს. «ხინომარუს» კაპიტანი, მოიუს მოსული, ამბობს, „ხიტაშიმარუზე“ იერიში მიიტანა რუსთა ოთხ-ბუხრიანმა გემმა მარჯვენა მხრიდგანაო. კაპიტანს უნდა ტარანი ეხმარა, მაგრამ რუსთა კრეისერმა დაასწროვო.

**კურსკი.** საქველმოქმედო საზოგადოების თავსმჯდომარის, გუბერნატორის ავდეევის მეუღლის, სახელზედ მოვიდა შემდეგი უმაღლესი დეპეშა: «შევიტყე-რა კეთილი სურვილი კურსკის საქველმოქმედო საზოგადოებისა, რომელსაც განუზრახავს დააარსოს ათი საწოლი ჩემს სახელობაზედ წითელის ჯვრის ერთ-ერთს ქსენონში, გულწრფელის კმაყოფილებით ვიღებ მაგ ძღვენს და გულითა ვმადლობ საზოგადოებას და თქვენ გულმოდგინე და სასარგებლო მოღვაწეობისათვის და აგრეთვე უხვის შემოწირულობისათვის. მარიამ».

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგნი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**
28 მაისი 1904 წ.
ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირ. სტ. | 94,00 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | 37,35 |
| ლონდონში ჩეკები | 94,55 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,55 |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 91⅜ ჩის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | — |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 370 წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 290 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 266 წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |


# განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი
**ს. ბ. თოფურიას**
**სამკურნალოში,**
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის **პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.



ა მ ე რ ი კ ი ს
**ავტომობილები**
ბენზინით მოძრავი
**ველოსიპედები**
ბენზინის მატორებით.
Акц. О-во ЭНФИЛЬД
МОСКВА, РОЖДЕСТВЕНКА № 9.
СПБ. Морская, № 30.
(10—6—10).

ს.-პეტერბურგის კომპანია
**„ნ ა დ ე ჟ დ ა“**
ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის, გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.
**დაარსებულია 1847 წელს**

| | |
|---|---|
| **ძირითადი თანხა** | 1.650.000 მან. |
| **სათადარიგო თანხა** | 2.664.808 მან. |

დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითაარხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციის აწარმოებს 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას** „-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისკის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის— ნიჟნი ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6.—39)



**სწორედ მუქთია,**



იტყვის ყველა, ვინც გამოიწერს ჩვენგან
მხოლოდ **5 მ. 45 კ.** ჩვენისავე გაგზავნით.

უგზავნით 7 შემდეგს ნივთს: 1) **საათი** გაშავებული ფოლადისა, ქალისა ანუ კაცისა, მაგარის მექანიზმით, სწორის მუშაობით, 6 წლის ვადით ბუღდავანობით; 2) მეის ბუდე საათისთვის; 3) **ძეწკვი** საათისა, ქალისა ანუ კაცისა; 4) **ბრელოკი** ახალი ოქროსი „კომპასი“, ანუ «ბინოკლი» საინტერესო სანახავით ან სხვ.; 5) ტყავის ქისა პულისთვის მთელის ნაჭრისა, 7 განყოფილებით და მყიდველის ბეჭდით; 6) **მუშტუქი** დ-რის კოხისა თამბაქოს მწეველთათვის, ანუ კალმის დანა; 7) **ოქროს ბეჭედი** 56 რობისა ან ჯიბის ელექტრონის ფარანი, ანუ ტყავის პორტსიგარი ან მეშის ჩანთა ამარზე ჩამოსაბმელი. თავსახურავიანი საათი გაეგზავნება, ვინც 6 მ. 75 კ. გამოგზავნის.

შეკვეთილი ნივთები გაეგზავნებათ დაუყოვნებლივ და კეთილ სინიდისიერად ბეს გამოგზავნა საჭირო არ არის, ნივთები ფასდადებით გაეგზავნებათ.

ადრესი: **სავაჭრო სახლი ფელიპიანი და კომპ., ვარშავა, 36—333**

P. s. აზიის რუსეთსა და ციმბირში ნაწილი გზის ხარჯისა მყიდველთ გადახდებათ და ნივთებიც მხოლოდ წინადვე ბეის მიღების შემდეგ გაეგზავნებათ. 3—6—2)

ზღვაზე, მდინარეებზე და ხმელეთზე ბარგის გადაზიდვისა და დამზღვევის ს.-პეტერბურგის კომპანიის
**„ნ ა დ ე ჟ დ ა“-ს**
ტფილისის სააგენტო ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ სააგენტოს საქონლის მთავარი საწყობი, რომელიც აქამომდე იმყოფებოდა ზუბალოვის სახლებში, კათოლიკეთა ქუჩაზე, 1904 წლის
**11 აპრილიდან გადატანილ იქნება**
მანთაშოვის ახალ ქარვასლაში, სომხის ბაზარში.
შესასვლელი ეგზარხოსის მოედნიდან, სახელოსნო სასწავლებლის პირდაპირ.
საქონლის მიღება შეიძლება ყოველ დღე კვირა დღეების გარდა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდის და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.
საწყობის ტელეფონი № 370. სააგენტოს ტელეფონი № 108. (5—6.—5)

**ჩრდილო საჭართა ოქრო და ბრილიანტი**
**როცა შეიძლება შეძენა ჩვენის სავაჭრო სახლისაგან**
მხოლოდ 5 მან. 50 კაპ. გამოგზავნით

გარნიტურისა, რომელშიაც იქნება 4 ლამაზი ნივთი: 1) ბრასლეტი, 2) ბროშკა, 3) წყვილი მოზრდილი საყურე, 4) ბეჭედი ყველა წმინდა ვერცხლისა, 84 დამღისა, კარგად ცურვილი, ბრძმედ გამოვლილი ოქროში ელექტრონის წესით და მოოჭვილი გარშემო პარიჟის ბრილიანტებით, რომელიც (შუა-გულ ქვას) ზურმუხტს, საფირონს, ამეთვისტოს (ვისაც რომელი სურს) შემორტყმული აქვს გარს; ნივთები ხელოვანებით არის გაკეთებული და ბაჯაღლო ოქროში ვერ გამოარჩევთ. ბრილიანტებსაც ისეთი წყალი და ჯავარი აქვს, რომ არ ჩამოუვარდება 200 მანეთად ღირებულ ძვირფას ბრილიანტებს. ყველა ეს ნივთები თამამად გასწევს ოქროს ნივთებისა და ბრილიანტების მაგიერობას.

ნივთები გაგზავნით ეღირება მხოლოდ 5 მან. 50 კაპ,

**იაფი გარნიტური**
**მხოლოდ 4 მან. 45 კაპ. გაგზავნით**

ვგზავნით 5 შემდეგს ნივთს: 1) კაცის საათს, საუკეთესოდ მოოქროვილს, ძნელი გასარჩევია ოქროში, ან შავის გამოწრთობილის ფოლადისას, კაცისა ან ქალისა მაგარის ხაზინით და 6 წლის ბუღდავანობით; 2) ახალ ოქროს ძეწკვს პრტყელს (პანცირისას) ან ქალისას, ყელზედ საკიდს; 3) ბრელოკს, კომპასს ან ბინოკლს ან ვენზელს, 4) საწერ იარაღს- რომელშიაც არის ლითონის ტარი, კალამი, ყარანდაში, შტემპელი სახელისა, მამის სახელისა და გვარისათვის; ზედ ამოიჭრება ორი ასო ბეჭედისათვის, 5) მეშის კოხტა ქისას სხვადასხვა გვარ ფულისათვის ან ტყავის, პორტმონეს ქალისათვის; ასახდელი საათიცაა; სახურავიანი ვისაც უნდა, დაუმატებს 1 მან. 50 კ.

**ვინც ორივე გარნიტურს დაიბარებს, უნდა გამოჰგზავნოს მხოლოდ 8 მან. 90 კაპ.**

მოთხოვნილება დაუყოვნებლივ შესრულდება და ნივთები გაეგზავნება ადრესატებს უბეოდ, ფას-დადებით. ადრესი:

*Торгово-транспортному дому Т-во „Парижскій Луврь“. Варшава 32/323*

აზიის რუსეთში და ციმბირში გაგზავნისათვის საჭიროა ბეს გამოგზავნა (შეიძლება მარკებით და ფასის მიემატება წონისამებრ. (3—6—3)